10
ოქტომბერი
სამშაბათი,
1961 წ.
№ 160 (1796)
გამოდის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов



ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: რ. აბუანდაძე.

სერიოზული გამოცდის წინ

13-19 ნოემბერს მოსკოვში ჩატარდება სსრ კავშირის 1961 წლის პირად-გუნდური პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. წინა წლებისაგან განსხვავებით წელს ოსტატთა ნაკრებ გუნდებთან ერთად მონაწილეობენ ახალგაზრდული ნაკრები გუნდები პირველი თანრიგის პროგრამით. ამიტომ, ჩემპიონატი იქნება ტანვარჯიშის როგორც წამყვანი, აგრეთვე მომავალი ძალების საინტერესო გამოცდა.

მოსკოვში მოეწყობა პირადი პირველობის გათამაშება სპორტული ტანვარჯიშის ცალკეულ სახეობებში გაძლიერებული, ნებისმიერი ვარჯიშებით. ამ შეჯიბრებაზე ტანვარჯიშული მრავალჭიდში პირველ ათ ადგილზე გამოსული ვაჟებისა და ქალებისათვის მოეწყობა ფინალური შეჯიბრებები სავალდებულო და გაძლიერებული, ნებისმიერი პროგრამით საბჭოთა კავშირის 1961 წლის აბსოლუტური ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად. ფინალი ჩატარდება 22-24 დეკემბერს თბილისში.

აღნიშნული შეჯიბრებისათვის მზადება ქართველმა ტანმოვარჯიშეებმა კარგა ხანია დაიწყეს. საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირმა შექმნა კარგი პირობები ნაკრები გუნდების ნაყოფიერი წვრთნისათვის. ჩატარდა სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები, საქალაქო, რესპუბლიკური და საერთაშორისო შეჯიბრებები, სადაც რესპუბლიკის წამყვანი ტანმოვარჯიშეები გამოვიდნენ კარგი სპორტული მაჩვენებლებით.

საქართველოს ნაკრები გუნდების შემადგენლობის საბოლოო შერჩევა მოხდება რესპუბლიკის პირად-გუნდურ პირველობაზე 11-15 ოქტომბერს თბილისში.

საქართველოს პირველობა მეტად საინტერესო შეჯიბრება იქნება. იგი მოეწყობა იმავე პრინციპით, როგორც საკავშირო შეჯიბრება. პირველი ოთხი დღის შეჯიბრების შედეგად გამოვლენილი საუკეთესო 6-6 ტანმოვარჯიშე პირველობას შეეცილება ერთმანეთს ცალკეულ სახეობებში გაძლიერებული ნებისმიერი პროგრამით.

იმედია, ქართველი ტანმოვარჯიშეები რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებზე მოპოვებულ მაღალ სპორტულ შედეგებს მიუძღვნიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ისტორიულ ყრილობას.

გ. ჯილაია,
საქართველოს სსრ მთავარი მწვრთნელი ტანვარჯიშში, სსრკ დამსახურებული მწვრთნელი.



ი. პრესი (მარჯვნიდან პირველი) თარჯრბენის დისტანციაზე.

ხუთჭიდელთა შეჯიბრებაში 68 სპორტსმენი ქალი ეცილებოდა ერთმანეთს უძლიერესის სახელს. პირველ სამ სახეობაში, რომელიც ხუთჭიდელთა ასპარეზობის პირველ დღეს ტარდებოდა, დაწინაურდნენ ლენინგრადელი ი. პრესი, რსფსრ-ს 4 წარმომადგენელი — ტ. ჩენჩიკი ტ. სიზიაკოვა, ლ. შმაკოვა, გ. ბისტროვა და ო. კარდაში (ლენინგრადი). აი, ის ექვსი სპორტსმენი, რომლებიც შეჯიბრების მეორე დღეს საპრიზო ადგილებთან ყველაზე ახლოს იყვნენ. ამ ექვსეულში მსოფლიო რეკორდსმენი ირინე პრესი შეიძლება ითქვას, კონკურენციის გარეშე იყო და სამ სახეობაში (80 მ თარჯრბენი, ბირთვის კვრა და სიმაღლეზე ხტომა) მოგროვებული 3.088 ქულით მან გააკეთა განაცხადი ახალ მსოფლიო რეკორდზე.

1961 წელს, როცა პრესმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა, მაშინ ხუთჭიდის 3 სახეობის შემდეგ მას 3.061 ქ. ჰქონდა, ახლა კი 27 ქულით უკეთესი შედეგი უჩვენა. წინა მსოფლიო რეკორდის დამყარებისას მან სიმაღლეზე ხტომაში აჩვენა 160 სმ, თარჯრბენში — 11,2 (ამჯერად უკეთესი შედეგი — 10,9). მან მხოლოდ ბირთვის კვრაში ვერ მოახერხა ძველი შედეგის გაუმჯობესება.

ი. პრესის მომდევნო ტ. ჩენჩიკმა შესანიშნავი შედეგი აჩვენა სიმაღლეზე ხტომაში. მან 174 სმ გადალახა და გაიმეორა შედეგი, რომელიც მიმდინარე ასპარეზობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ვ. ბალოდს (უზბეკეთის სსრ) ჰქონდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1961 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა სიმაღლეზე ხტომაში ვ. ბალოდმა ხუთჭიდელთა ასპარეზობაში ძხოლოდ 159 სმ ზღვარის გადალახვა მოახერხა...

ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა ხუთჭიდელთა ასპარეზობის მეორე დღეს, რომლის პროგრამაში იყო სიგრძეზე ხტომა და 200 მეტრზე რბენა. ლიდერთა ჯგუფში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ირინე პრესმა წინა დღეს დაწყებული შეტევა მსოფლიო რეკორდზე კვლავ განაგრძო. სიგრძეზე ხტომაში მან უკვე მეორე ცდაზე უჩვენა ხუთჭიდელისათვის ფენომენალური შედეგი — 6 მ 24 სმ. ამ ნახტომით კიდევ 1042 ქულა მოიპოვა და ოთხ სახეობაში დააგროვა 4130 ქულა. ხუთჭიდის ბოლო სახეობის—200 მეტრზე რბენის წინ ეჭვი უკვე არავის ეპარებოდა, რომ იგი თავისივე რეკორდთან გამოცხადებულ ბრძოლას მოიგებდა. ასეც მოხდა, 200 მეტრი ირინემ გაირბინა 24,2 წამში და 117 ქულით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი (5137).

პრესმა ძველი მსოფლიო რეკორდის დამყარების დროს 100 მ გაირბინა 11,2 წ, ბირთვი ჰკრა 15 მ 98 სმ-ზე, სიმაღლეზე გადახტა 160 სმ, სიგრძეზე — 6 მ 05 სმ, 200 მ გაირბინა 24,7 წ. თბილისში დამყარებული რეკორდის შესაბამისი შედეგები: 10,9; 15,26; 162, 6,24 და 24,2.

(დასასრული მე-4 გვ.)

ი. პრესი — ჩემპიონატის გმირი

შეხვედრები ინგლისელებთან

უკვე რამდენიმე დღეა მოსკოვში იმყოფება სამი გამოჩენილი ინგლისელი მაგიდის ჩოგბურთელი, რომლებიც ჩამოვიდნენ ამხანაგურ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისათვის. ინგლისელთა შორის არიან მსოფლიო პირველობის მონაწილენი ი. ჰარისონი და ჯ. ინგბერი.

ჩვენი ქვეყნის სახელით ინგლისელებს გუნდურ მატჩში შეხვდნენ ცნობილი ოსტატები ა. საუნორინი, გ. ავერინი და გ. გრინბერგი. ბრძოლა დამთავრდა საბჭოთა მაგიდის ჩოგბურთელების გამარჯვებით—3:0.

რ. აბუანდაძის დიდი გამარჯვება

ამ სათაურით წერილი იხ. მე-3 გვერდზე

გულგარელები უგეგენ საბჭოთა ნაკრებს

საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ფრენბურთელთა ნაკრები გუნდები სტუმრად არიან ბულგარეთში. პირველად მოედანზე გამოვიდნენ ქალთა გუნდები. ბულგარელი ფრენბურთელები პირველ პარტიას იგებენ გამანადგურებელი ანგარიშით 15:1 (!). მეორე და მესამე პარტიაში საბჭოთა ფრენბურთელებმა თამაში გამოასწორეს, მაგრამ მაინც წააგეს — 12:15 და 11:15.

ვაჟთა გუნდების შეხვედრებიც დაძაბულად მიმდინარეობდა. ამჯერად გამარჯვებულები მასპინძლები დარჩნენ — 3:2 (15:10, 14:15, 15:9, 12:15, 15:13).

თბილისელი კალათბურთელების გამარჯვება

გუშინ, სპორტის სასახლეში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა კალათბურთში. თამაშობდნენ ბერლინის, ჰუმბოლტის სახელობის უნივერსიტეტის (გდრ) და თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდები.

ქალთა კოლექტივების მატჩი მოიგეს თბილისელებმა — 57:42. მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა ვაჟთა გუნდების შეხვედრაც—77:67. შეჯიბრების დაწვრილებითი ანგარიში იხილეთ ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

„ბ“ კლასში

8 ოქტომბერს შედგა მორიგი კალენდარული მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე ზონებში.

II ზონის ლიდერი — ქუთაისის „ტორპედო“ თამაშობდა სამარყანდში ადგილობრივი „დინამოს“ წინააღმდეგ. მატჩი მოიგეს ქუთაისელებმა ანგარიშით 3:1.

I ზონაში შედგა მატჩი ტირასპოლის „პიშჩევიკსა“ და სოხუმის „რიწას“ შორის. შეხვედრის შედეგია 1:1.

ფეხბურთი

სსრ კავშირის თასზე

განელილ კვირას შედგა მორიგი მატჩები სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში.

თბილისის „დინამო“ სტალინოში შეხვდა ადგილობრივ „შახტიორს“. ანგარიში გახსნა თბილისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა კალოევმა, მაგრამ მასპინძლებმა ტაიმის დასასრულამდე გაქვითეს გოლი — 1:1. მეორე ტაიმში დინამოელები კვლავ დაწინაურდნენ (ბურთი გაიტანა მესხმა) და „შახტიორის“ ფეხბურთელებმა ამ მძიმე მომენტში კვლავ შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება. მათ ზედიზედ ორი ბურთი გაიტანეს და მიაღწიეს გამარჯვებას ანგარიშით 3:2. თბილისის „დინამო“ გამოითიშა თასის გათამაშებიდან.

მეტად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა შეხვედრა როსტოვში, სადაც თამაშობდნენ ადგილობრივი არმიელთა გუნდი და მოსკოვის „სპარტაკი“. მიუხედავად დამატებითი დროისა, მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

ასევე ვერ გამოვლინდა გამარჯვებული ბაქოს „ნეფტიანიკისა“ და პავლოვოს „ტორპედოს“ შეხვედრაში. ანგარიშია 0:0.

გუშინ ეს ორი მატჩი შედგა განმეორებით, როსტოვის სკამ დაამარცხა მოსკოვის „სპარტაკი“ — 2:0. ბაქოს „ნეფტიანიკმა“ პავლოვოს „ტორპედო“ — 3:1.

გუშინ მოსკოვის „ლოკომოტივმა“ მიიღო ლენინგრადის „ადმირალტეეცი“. შეხვედრა მოიგეს ლენინგრადელებმა — 1:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათებზე: ზემოთ (მარცხნივ) საბჭოთა მეურნეობის ფეხბურთელები ემზადებიან ვარჯიშისათვის, წინ არის ბევრი საინტერესო შეჯიბრება, ამხანაგური მატჩები. ფრენბურთელთა გუნდის მიერ გაზეთ „ახალ წყალტუბოს“ თასის მოპოვებასთან დაკავშირებით დირექტორი შ. გურესაშვილი გამარჯვებულებს ულოცავს ჯილდოს მიღებას — მარჯვნივ.

მეურნეობაში სულ ახალი სპორტული სახეობაა თავისუფალი ჭიდაობა, მაგრამ ამის მიუხედავად აქ ბევრი ახალგაზრდა ჩაეწერა სპორტულ სექციაში და ქვემო სურათზე თქვენ ხედავთ მოჭიდავეთა ერთ-ერთ ვარჯიშს, რომელსაც ხელმძღვანელობს ფიზკულტურის ძირეული საბჭოს თავმჯდომარე ვ. კილაძე. გაივლის ცოტა დრო და აქაური მოჭიდავეებიც გაახარებენ გეგუთელ სპორტის მოყვარულებს.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

XXII ყრილობის შესახვედრად

გეგუთში უყვართ სპორტი

პირველ გაკვანაღდებთ

გეგუთის (წყალტუბოს რაიონი) მებოსტნეობა-მერძეველობის საცდელ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობის დირექტორს შალვა გურესაშვილს საღამო ხანს შევხვდით. იგი რაიონის ცენტრიდან ჩამოვიდა და მაშინვე იქ მივიდა, სადაც მეურნეობის ფრენბურთელები, ფეხბურთელები და კალათბურთელები გადიოდნენ წვრთნას. იმდენ მაყურებელს მოეყარა თავი, გეგონებოდათ კალენდარული შეხვედრა იყო ერთად რამდენიმე სახეობაში. თითქმის მთელი სოფელი აქ იყო. ცეროდენები, რომლებსაც ფიზკულტურელთა ნახვის „ნორმალური“ პირობები არა ჰქონდათ, ხის ღობეზე ჩამომსხდარიყვნენ.

დირექტორს საუბარი სამეურნეო გეგმებზე ჩამოუგდეთ. მან სიამოვნებით მიიღო ჩვენი „გამოწვევა“ და მოგვითხრო მეურნეობის მუშაკთა შრომით წარმატებებზე.

3.000 ჰექტარზეა გადაჭიმული გეგუთის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია, რომლის მადლიან მიწაზე მოდის სიმინდის, ბოსტნეულის, ხილის უხვი მოსავალი. ამას გარდა, აქ მეცხოველეობას და მერძეველობასაც დიდი ადგილი უკავია.

თქვენ ალბათ, რასაკვირველია, ფიზკულტურა და სპორტი უფრო გაინტერესებთ, — გვითხრა შ. გურესაშვილმა. — პირველ ყოვლისა, გვინდა იგი ფართოდ დავნერგოთ ჩვენი სოფლის ათწლიან და შვიდწლიან სკოლებში, ვინაიდან მეურნეობაში მუშახელის შევსება სწორედ აქედან მოდის და, რა თქმა უნდა, გვინდა სამუშაოზე მივიღოთ ჯანმაგარი ახალგაზრდობა, რომელიც ენერგიის დაუზოგავად იბრძოლებს სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის პროგრამაშიც ხომ მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაზეა გამახვილებული ყურადღება და სწორედ ეს საკითხი გვინდა გადაიჭრას პირველ რიგში.

იმისათვის, რომ ჩვენს მუშაკებს მეტი საშუალება ჰქონდეთ იმეცადინონ ფიზკულტურასა და სპორტში, გადაწყვეტილი გვაქვს მოკლე დროში მსხვილ ბრიგადებში ავაგოთ სპორტული ბაზები. ეს ბრიგადები ძალზე ხალხმრავალია და ჩვენც მოვალენი ვართ ანგარიში გავუწიოთ სპორტის მოყვარული ახალგაზრდობის კანონიერ მოთხოვნებს, ხოლო რაც შეეხება მეურნეობის ფიზკულტურელთა წარმატებებს, ამაზე ჩემზე უკეთ ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარე ვახტანგ კილაძე გიამბობთ. მას ჩვენი კომკავშირელების საქმიანობაზეც შეუძლია გესაუბროთ: იგი ამავე დროს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანიც გახლავთ, — გვითხრა გამომშვიდობებისას შ. გურესაშვილმა.

საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდების დიდი ნაწილი — 300 კაცი გაერთიანებულია 10 სპორტულ სექციაში. აქ ყველაზე ხალხმრავალია ფრენბურთელთა ჯგუფი, რომელსაც სამრავლის მხრივ ფეხდაფეხ მიჰყვებიან მძლეოსნები, მოჭადრაკეები, ლელობურთელები, კალათბურთელები, მოშაშე ები, მსროლელები, მოჭიდავეები და სხვანი.

როცა გეგუთის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურელებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება ქებით არ მოვიხსენიოთ ფრენბურთელთა სექცია. აქაური ფრენბურთელები „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს ჩემპიონები არიან. მათ დაისაკუთრეს აგრეთვე გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ თასი. ამ ორი მნიშვნელოვანი გამარჯვებით ფრენბურთმა სოფელში დიდი პოპულარობა მოიპოვა და ახლა ფიზკულტურულ კოლექტივში ბევრი ითხოვს სექციაში ჩაწერას.

მაგრამ განა მარტო ფრენბურთელებით ამაყობენ გეგუთელები? აბა ნახეთ აქაურ ფეხბურთელთა გუნდი — „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს 1961 წლის ჩემპიონი, რომლის ყოველ კალენდარულ თამაშს გეგუთელებისათვის სიხარული მოაქვს. — ჩვენი გუნდი თამაშობს, მაშასადამე გაიმარჯვებს კიდეც, — ასე ამბობენ აქაური ახალგაზრდები. კალათბურთელებიც მოწინავენი არიან რაიონში. საბჭოთა მეურნეობის გუნდი „კოლმეურნის“ ხაზით პირველია წყალტუბოს რაიონში. ჯერ კიდევ დიდ წარმატებებს ვერ აღწევენ აქაური მსროლელები, მოჭადრაკეები, სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები, მაგრამ სულ მოკლე დროში ისინიც გამოვლენ რაიონული სპორტის ფართო სარბიელზე.

აქ წარმატებით სრულდება **მშთ** ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა გეგმები. **მშთ** II საფეხურზე 35 კაცის ნაცვლად მომზადდა 42, ხუთი მეორეთანრიგოსნის ნაცვლად — 12 და ა. შ. საბჭოთა მეურნეობა არც ფიზკულტურის საზოგადოებრივი კადრების მომზადებაში ჩამორჩება.

„ბეტონიერები“ შრომაში, მეგობრები სპორტში

დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კარგი ფიზკულტურული მუშაობის შესახებ ჯერ კიდევ დაბალ კლასში სწავლის დროს შეიტყეს ჯემალ ჩიხლაძემ და საშა მაჩალაძემ. მათ სწავლისაგან თავისუფალ დროს ხშირად ჰქონდათ ასეთი საუბარი:

— დავამთავრებთ თუ არა სკოლას, ჩვენი შემდეგი მარშრუტი დიდი ჯიხაიში იქნება, — წინადადებას აძლევდა ჯემალი თანაკლასელს და ისიც თანხმობის ნიშნად თავს უკრავდა...

მალე ფრთები შეესხა ამ ორი ახალგაზრდის ოცნებას. ისინი ჩარიცხეს დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. გეგუთელები ნაყოფიერ სწავლასთან ერთად სპორტშიც ბევრს მეცადინეობდნენ, განსაკუთრებით ფეხბურთის სექციაში. გავიდა რამდენიმე წელი. გამოცდები, ორი დიპლომი, ორი სპეციალობა — ერთი სოფლის მეურნეობის, მეორე — ფიზკულტურის საზოგადოებრივი ინსტრუქტორისა. შემდეგ კვლავ გეგუთი, საბჭოთა მეურნეობა.

სიხარულით მიიღეს თანასოფლელებმა ჯემალი და საშა. ისინი გეგუთში მისვლისთანავე ჩადგნენ სოციალისტური მინდვრების მოწინავეთა პირველ რიგებში. სხვადასხვა ბრიგადაში, ერთ კოლექტივში — ფეხბურთის გუნდში. აქედან დაიწყო ორი მეგობრის „მტრობა“. როგორც კი მეორე ბრიგადა დაწინაურდებოდა, სადაც ჯემალი მექანიზატორად მუშაობს, იგი ნიშნის მოგებით იტყოდა:

— პირველობას არ დაგითმობთ, ტყუილად იკლავენ შენი ბრიგადის წევრები თავს. ს. მაჩალაძე მცველის როლში გამოდიოდა. იგი ფეხბურთის გუნდში 3 ნომრად თამაშობდა, მაშინ, როცა მისი მეტოქე 11 ნომერი იყო.

მაგრამ მოვიდა დრო, როგორც ფეხბურთში ხდება (მეტოქის კარის თავდასხმაში რომ დაცვაც მონაწილეობს) და ახლა საშა უტევდა ჯემალს. შრომითს პაექრობაში ხომ გამარჯვებები იბადება. ასე იყო აქაც. წინ ხან ერთი, ხან მეორე ბრიგადა იყო, ხოლო საბჭოთა მეურნეობის დოვლათი ამით უფრო ხვავდებოდა.

საბჭოთა მეურნეობას მათს გარდა სხვა მოწინავე ფიზკულტურელიც ჰყავს შრომასა და სპორტში. მოწინავენი არიან ფრენბურთელები—ბ. გრიგოლაშვილი, გ. ხუტუნაშვილი, ფეხბურთელები — გ. აბაზაძე, ვ. კუცია, ე. ბოდოკია, ა. გიგიაძე, მოჭიდავეები—ჯ. ბაღდავაძე, გ. გაბუნია, კალათბურთელები — გ. კუპრავა, გ. ჯიქიძე, მაგრამ უკანასკნელი ორი ახალგაზრდა ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლეები არიან. მართალია, მათ თავი ისახელეს ნაყოფიერი შრომით, მაგრამ ამას ისინი აკეთებენ საზაფხულო არდადეგების პერიოდში, სწავლისაგან თავისუფალ დროს. გ. კუპრავას მშენებლებისაკენ მიუწევს გული, მეურნეობის ახალნაგებობათა შექმნაში შეაქვს თავისი წვლილი, გ. ჯიქიძეს უფრო მევენახეობა აინტერესებს და ზვრებში ვაჟკაცურად დატრიალებს.

მოწინავე ტრაქტორისტი — ყრილობის დელეგატი

საბჭოთა მეურნეობის მოწინავე ტრაქტორისტის ა. მაჩალაძის სახელს ყველა აქ დიდი პატივისცემით იხსენიებს, ყველას მისი გმირული შრომის მაგალითები აკერია პირზე. მართლაც, არ შეიძლება პატივისცემის გრძნობით არ გაიმსჭვალო, როცა შეიტყობ, რომ ერთმა ადამიანმა 250 ჰექტარი მიწა დაამუშავა — მოხნა, დათესა, კულტივაცია ჩაატარა, სასუქი შეიტანა, რის შედეგად გეგმით გათვალისწინებული 28-ის ნაცვლად ჰექტარიდან 35 ცენტნერი სიმინდი მიიღო. შრომა დაუფასდა მოწინავე ტრაქტორისტს. იგი არჩეულ იქნა საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის დელეგატად და მონაწილეობა მიიღო მის მუშაობაში.

ა. მაჩალაძე მარტო შრომითი საქმიანობით როდია დაკავებული. იგი აქტიურად მონაწილეობს საჭადრაკო სექციის მუშაობაში და აქაც კარგ წარმატებებს აღწევს.

— ახალი შრომითი გამარჯვებით შევხვდეთ ჩვენი სახელოვანი პარტიის XXII ყრილობას, ჩვენი წვლილი შევიტანოთ პარტიის პროგრამის განხორციელების საქმეში! ასეთია გეგუთის საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა ერთსულოვანი გადაწყვეტილება და ჩვენ გვჯერა, რომ მათი სიტყვა და საქმე ერთია, კომუნიზმის ნათელი შენობის აგებაში გეგუთელებსაც შეაქვთ თავიანთი წვლილი.

ზ. ჯანდიერი,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

ასეთია გეგუთელთა გადაწყვეტილება

რ. აბჟანდაძის დიდი გამარჯვება

ერთი თვის წინ, უნგრეთისა და საქართველოს ჩოგბურთელთა ამხანაგურ მატჩში კ. ბარდოციმ გამარჯვებულმა დასტოვა თბილისის „დინამოს“ კორტები, როცა ფინალურ შეხვედრაში დაამარცხა საქართველოს ჩემპიონი რ. აბუანდაძე.

ისინი ახლაც ერთმანეთის პირისპირ დადგნენ, მაგრამ, ამუამად შეჯიბრების მასშტაბი ბევრად სჭარბობდა პირველს — ტარდებოდა უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთისა და საქართველოს უძლიერეს სპორტსმენთა საერთაშორისო ტურნირი.

წვიმა სცრიდა... „დინამოს“ კორტებზე შეკრებილი მაყურებელი რევანშს ელოდა. შეჯიბრებაში მონაწილე ქალებიდან მხოლოდ ეს ორი მოწინააღმდეგე მიდიოდა ფინალისაკენ დაუმარცხებლად.

უნგრელმა დასაწყისშივე სცადა თავისი ძლიერი იარაღის — მოკლე, ირიბი დარტყმების გამოყენება, მაგრამ რ. აბუანდაძეს ადრე მიღებული გაკვეთილიდან სათანადო დასკვნები გაეკეთებინა. იგი დროულად სჭვრეტდა მოწინააღმდეგის ჩანაფიქრს და საპასუხო ძლიერი დარტყმებით წონასწორობიდან გამოიყვანა კ. ბარდოცი. პირველმა პარტიამ გამარჯვება ქართველს მოუტანა — 6:4.

სტუმარმა შესაძლებლობათა მაქსიმუმი გამოავლინა მეორე პარტიაში და რ. აბუანდაძეს მხოლოდ ერთი გეიმის მოგების საშუალება მისცა — 6:1.

გადამწყვეტ პარტიაში აბუანდაძემ შეძლო დაწინაურება — 5:2, მაგრამ უნგრელმა ჩოგბურთელმა უკანასკნელი გაბრძოლებით სამი გეიმი ზედიზედ მოიგო და გაათანაბრა ანგარიში — 5:5. უალრესად დაძაბულ ბრძოლაში სტუმარმა თამაშის სიმძიმე მოწინააღმდეგის მარცხენა ფრთაზე გადიტანა. ეს იყო მისი ტაქტიკური შეცდომა — საქართველოს ჩემპიონი ამ დღეს განსაკუთრებულად კარგად თამაშობდა მარცხენა მხრიდან. რევანში შედგა — რ. აბუანდაძემ ორი მომდევნო გეიმის მოგებით გზიდან ჩამოიცილა პირველობის ძირითადი პრეტენდენტი — 8:6.

საქართველოს ჩემპიონის ტრიუმფალური მსვლელობა ვერც ჩეხოსლოვაკიელმა ე. გონდუხოვამ შესძლო და მასპინძელმა უკანასკნელი მოწინააღმდეგის დამარცხებით — 8:6, 6:3 წაუგებლად მოიპოვა საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულის სახელი.

ი. რიაზანოვამ, რომელიც უკანასკნელ შეხვედრებს უფრო და უფრო კარგად ატარებდა, დაამარცხა კ. ბარდოცი (8:6, 8:6) და II, III, IV ადგილი გაიყო მოწინააღმდეგესა და გონდუხოვასთან ერთად.

სტუმარმა ქალებმა ვერც წყვილთა შეჯიბრებაში მიაღწიეს წარმატებას. რ. აბუანდაძისა და ი. რიაზანოვას შეთანხმებულმა თამაშმა გამარჯვების სახსორი კვლავ თავის მხარეზე გადმოხარა და საერთაშორისო წყვილმა — გონდუხოვა - ბარდოცემ დამარცხებულმა დასტოვა მოედანი — 4:6.

უნგრეთის მრავალგზის ჩემპიონი და ევროპის უძლიერესი ჩოგბურთელი ი. გუიაში თავის მრავალფეროვანი თამაშითა და ტაქტიკური გააზრებით დიდხანს დარჩება თბილისელ სპორტის მოყვარულთა მეხსიერებაში. 30 წლის არქიტექტორი, რომელმაც მიმდინარე წელს ჩატარებული დიდი მასშტაბის 37 საერთაშორისო შეხვედრიდან ექვსში მოიპოვა უძლიერესის სახელი, აქაც მთელი თავით მაღლა იდგა მოწინააღმდეგეებზე. საკმარისია ითქვას, რომ პრაღის საერთაშორისო ტურნირზე გამარჯვებული კ. შაფარიკი მასთან ფინალურ შეხვედრაში ძლივს გადაურჩა მშრალი ანგარიშით დამარცხებას — 1:6, 0:6.

ი. გუიაშის, როგორც ჩოგბურთელთა უმაღლესი კლასის წარმომადგენლის ოსტატობა, მთლიანად გამოვლინდა ვაუთა წყვილების ფინალურ შეხვედრაში. ჩეხოსლოვაკთა წყვილი შაფარიკი-ვრბა მთელ თამაშს გუიაშისთვის „მეუღლეებელ“ პარტნიორ ფ. ზენეტთან აგებდნენ. მაღალი ტანის, სათვალეებიანი ფ. ზენეტი შორსმხედველობის გამო ბადეასთან მეტად უსუსურ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ამ ნაგის შეცდომას „დამასწორებდა“ ისევ გუიაში, ადგილიდან შეხედრის ბოლო სასვლელ პარტიაში ეცა წყდა. თუ როგორ ვითარებაში მიმდინარეობდა ეს თამაში, მკითხველი მიხვდება ანგარიშით — 11:9 უნგრელთა სასარგებლოდ.

უნგრეთის ჩემპიონს ყველა სახეობაში თან სდევდა გამარჯვება. ამ წესის დარღვევა შეეძლოთ ა. ვერულავასა და ი. რიაზანოვას შერეული წყვილების ფინალურ მატჩში, მაგრამ გადამწყვეტ პარტიაში, რომელშიც ანგარიში ჩვენებს მიუავდათ—5:3 და იგებდნენ მეექვსე გეიმსაც (40:30), ი. რიაზანოვამ ბურთი ხაზს იქით გაგზავნა. ამ მოულოდნელმა საჩუქარმა სტუმრებს გამარჯვების რწმენა დაუბრუნა და გუიაშ-ბარდოცის წყვილმა კბილით გამოგლიჯა გამარჯვება საქართველოს სპორტსმენებს — 7:5.

მესამე ადგილზე გამოვიდა აბუანდაძე-ა. მეტრეველის წყვილი.

გ. სამსონაძე

* * *

სურათზე: ი. რიაზანოვა.

საინტერესო ბრძოლები რინგზე



გასულ კვირას თბილისში, სპორტის სასახლეში გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს მოკრივეთა ამხანაგური შეხვედრა. სტუმრების სპორტულ ღირსებას იცავდნენ პოპულარული კლუბის „როტაციონის“ უძლიერესი მოკრივეები.

შეუპოვარი ბრძოლის ჩინებული მაგალითი გვიჩვენა უმჩატესი წონის მოკრივემ ო. პროხემ. პირველ რაუნდში მისი მოწინააღმდეგე ზ. ფერაძე უფრო აქტიური იყო, მაგრამ შესამჩნევ უპირატესობას მან მაინც ვერ მიაღწია. ო. პროხემ დამაჯერებელი უპირატესობა მოიპოვა და თავის გუნდს პირველი ქულა მოუტანა.

როგორც ყოველთვის, მაღალ ტემპში დაიწყო ბრძოლა ნ. ქიქავამ. გამუდმებული შეტევების წყალობით მან პირველსავე წუთზე წონასწორობიდან გამოიყვანა მ. ზიმზონი. შემდგომში გერმანელმა მოკრივემ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევა განახორციელა. პირველი რაუნდის დასასრულისთვის მოწინააღმდეგეთა შანსები თითქმის გათანაბრდა. მაგრამ აი, დაიწყო მეორე რაუნდი და ქიქავა ახალი ენერგიით ეკვეთა მოწინააღმდეგეს. ერთ-ერთი შეტევის დროს თბილისელმა მოკრივემ ძლიერი დარტყმით ნოკაუტი გაუკეთა მოწინააღმდეგეს.

ფრთხილი დაზვერვით დაიწყო ბრძოლა ს. ჩოტულიდმ დ. მეცდორფის წინააღმდეგ. მაგრამ მეტოქემ მას დიდხანს არ აცალა. გერმანელი ადრევე მიხვდა, რომ ჩოტულიდის წინააღმდეგ პოზიციური ბრძოლა მას კარგს არაფერს მოუტანდა, ამიტომ მკვეთრად გაზარდა ტემპი, მაგრამ გერმანელი აქაც მოტყუვდა. ს. ჩოტულიდმ მიიღო ტემპი და რამდენიმე მძლავრი დარტყმაც მიაყენა მოწინააღმდეგეს. მაშინ დ. მეცდორფმა წარმატების მიღწევა ახლო ბრძოლაში სცადა. თბილისელი მოკრივე აქაც მომზადებული შეხვდა მეტოქის განზრახვას.

როდესაც მეცდორფი მიხვდა, რომ ყველა ტაქტიკური ვარიანტი მისთვის არახელსაყრელი გამოდგა, მან უსისტემო შეტევები დაიწყო. აქ კი ჩოტულიდის ტექნიკური უპირატესობა უკვე აშკარა გახდა. გერმანელმა მესამე რაუნდში მიიღო უძლიერეს დარტყმათა სერია თავისა და მუცლის არეში და საბოლოოდ შეურიგდა დამარცხებას.

სამივე რაუნდი მოუგო ჯ. კვანტალიანმა ბ. გროტეს. დასაწყისში უპირატესობა არც თუ ისე შესამჩნევი იყო, მაგრამ მეორე და განსაკუთრებით მესამე რაუნდში ცხადი გახდა, რომ კვანტალიანის დარტყმები უფრო ზუსტია და ამიტომ იგი თითქმის ყოველთვის სასურველ შედეგს აღწევდა. ბრძოლის დასასრულს გერმანელი ნოკდაუნშიც კი აღმოჩნდა. ქართველმა მოკრივემ ლამაზ გამარჯვებას მიაღწია.

შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდებოდა ი. კაჩაროვსკისა და ზ. მაჭავარიანის შეხვედრა. სამი რაუნდის მანძილზე გადამწყვეტ უპირატესობას ვერც ერთმა მოკრივემ ვერ მიაღწია, მაგრამ გერმანელი უფრო სუფთად მუშაობდა და გამარჯვებისათვის საჭირო ქულებსაც აგროვებდა. ამასთან იგი ფიზიკურადაც კარგად იყო მომზადებული და სწორედ ამან გადაწყვიტა ბრძოლის ბედი კაჩაროვსკის სასარგებლოდ.

ძლიერი დარტყმების სერიით ო. ზებულაშვილმა თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა. მისი მოწინააღმდეგე ი. ვალროტი უმთავრესად დაცვაზე ზრუნავდა და ეს თბილისელ მოკრივეს უადვილებდა შეტევის ორგანიზებას. მეორე რაუნდში ზებულაშვილმა ნოკდაუნი გაუკეთა მოწინააღმდეგეს, ხოლო მესამე რაუნდში მარჯვენა პირდაპირი დარტყმით მან ბრძოლა დაამთავრა. ხანმოკლე გამოდგა ვ. ქველიაშვილ-ფ. ხანცკეს შეხვედრა. ქართველმა მოკრივემ პირველ რაუნდში ორი ძლიერი დარტყმა მიაყენა მოწინააღმდეგეს. პირველი დარტყმა დამთავრდა ნოკდაუნით, ხოლო მეორე — ნოკაუტით.

მოუმზადებელი აღმოჩნდა შეხვედრისათვის, წარსულში ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი მოკრივე თ. მიქაელიანი. ვ. შუმახერმა საკმაოდ ადვილად მოიგო შეხვედრა სამ რაუნდში. მძიმე წონაში გამარჯვება თბილისელ ვ. ბაბახანიდს დარჩა (ებრძოდა ვ. კონსერტის წინააღმდეგ).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და საქართველოს მოკრივეთა შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 7:3 ჩვენი გუნდის სასარგებლოდ.

ნ. ახვლედიანი

არასახარბიელო შედეგები

დამთავრდა ფეხბურთში საქართველოს პირველობის თამაშები ქვეჯგუფებში. გათამაშების ცხრილები თვალსაჩინოდ გვიჩვენებენ საქართველოს ქალაქებისა და რაიონების გუნდების ბრძოლის განვლილ სურათებს. მაღალი შედეგებით დაამთავრეს შეჯიბრების ეს ეტაპი ტყიბულის მეშახტეებმა, ლანჩხუთისა და მახარაძის ფეხბურთელებმა, სამტრედიის, რკინიგზელთა კოლექტივმა, ზუგდიდელმა სპორტსმენებმა და სხვებმა, მაგრამ რა მომზადება გამოავლინეს რესპუბლიკის დედაქალაქის გუნდებმა? პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ერთობ არასახარბიელო.

თბილისიდან გათამაშებაში მონაწილეობდა 4 გუნდი. მათგან არმიელმა ფეხბურთელებმა დაიკავეს IV ადგილი, ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა — V, „სპარტაკმა“ (ყოფილი ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი) — IX, ხოლო „ისანმა“ — XIII.

რა თქმა უნდა, ცხადია, ამ კოლექტივებში არასათანადო სიმაღლეზე დგას სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა, მაგრამ ამ ჩამორჩენაში თანაბრად პასუხისმგებელი არიან თბილისის სპორტკავშირის საბჭო და ფეხბურთის საქალაქო სექცია, რომლებიც ქმედით ზომებს არ მიმართავდნენ მდგომარეობის გამოსასწორებლად. აგვე საყვედური ითქმის მწვრთნელთა საბჭოსა და მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის მიმართაც, რომელიც არ აწყობდა თბილისის გუნდების შეხვედრათა გარჩევას.

გარდა იმისა, რომ ქალაქის გუნდებში დაბალ დონეზე დგას საწვრთნელი მუშაობა, მოიკოჭლებს საორგანიზაციო მხარეც. ხშირად აქვს ადგილი დენადობას გუნდების შემადგენლობაში, უდისციპლინობას და სხვ.

თბილისის სპორტკავშირის საბჭომ და ფეხბურთის საქალაქო სექციამ გადამჭრელ ზომებს უნდა მიმართონ, რათა გაუმჯობესდეს რესპუბლიკის დედაქალაქის გუნდების თამაშის კლასი.

გ. ჩხიკვაძე



სურათზე: სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებული ი. ბონდარენკო.

ი. პრესი ჩემპიონატის გმირი

(დასასრული)

ხუთჭიდელთა ასპარეზობაში მონაწილეობდა მსოფლიო რეკორდს. მენი სიგრძეზე ხტომაში ტ. შჩელკანოვა. მას პრეტენზია არ ჰქონდა ხუთჭიდელთა შორის საუკეთესო შედეგზე, მაგრამ იგი ებრძოდა თავისსავე მსოფლიო რეკორდს სიგრძეზე ხტომაში. მას სამჯერვე ხელი შეუშალა ქარის სისწრაფემ. ამჯერად ამინდიც საუკეთესო იყო და რაც მთავარია, ქარიც არ უშლიდა ხელს რეკორდის ჩათვლაში, მაგრამ ტ. შჩელკანოვას სამი ცდა უშედეგოდ დამთავრდა...

მეორე ადგილი 4736 ქულით მოიპოვა გ. ბისტროვამ, მესამე — ლ. შმაკოვამ — 4668.

ი. პრესმა ჩვენი კორესპონდენტის ბლოკნოტში ქართველი სპორტის მოყვარულებისათვის შემდეგი სიტყვები ჩაწერა: „მოხარული ვარ, რომ ახალი რეკორდი თბილისში დავამყარე. ჩემი სურვილია შემდეგ პირველობაზე გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ქართველი სპორტსმენებიც ვიხილო“.

ჯ. მენუჭიძე

ტექნიკური შედეგები

ბუმბერაზი

მარათონული რბენა: 1. ვ. ბაკოვი (რსფსრ) — 2:21:05,4, 2. ლ. კონოვი (რსფსრ) — 2:24.21,4, 3. ა. ულანგინი (რსფსრ) — 2:27.08,0.

სპორტული სიარული 50 კმ. 1. ვ. ლავროვი (რსფსრ) — 4:10.23,6, 2. ა. ვედიაკოვი (რსფსრ) — 4:12.41,0, 3. ვ. ანიკეიკინი (ტატარეთი) — 4:14.35,0.

ბოთბიდი. 1. ი. კუტენკო (უკრაინა I) — 7721 ქულა. 2. ვ. სტოროჟენკო (უკრაინა I) — 7257, 3. ი. ლუსისი (ლატვია) — 7120.

გუნდური შედეგები: 1. ლენინგრადი — 141.517, 2. რსფსრ — 138.063, 3. მოსკოვი — 137.257, 4. უკრაინა — 136.699, 5. ბელორუსია — 94.782, 6. საქართველო — 74.509.

ჰერბერგერის ექსპერიმენტები

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისათვის ემზადება, ხანმოკლე საწვრთნელი შეკრების შემდეგ დიუსელდორფში შეხვდა დანიის გუნდს. ამ მატჩამდე დანიელებმა ოსლოში სასტიკი დამარცხება აგემეს ნორვეგიელებს (4:0), რამაც კიდევ უფრო გაზარდა ინტერესი დიუსელდორფის შეხვედრისადმი, ამასთან, გერმანელები თამაშობდნენ საგრძნობლად შეცვლილი შემადგენლობით. გამოცდილი ცენტრალური მცველი ერჰარდტი და იტალიაში წასული ნახევარმცველი შიმანიაკი შეცვალეს ვენაუერმა და შულცმა. აი როგორი შემადგენლობა გამოიყენა ჰერბერგერმა: ტიცკოვსკი; ნოვაკი, ბენაუერი, შნელინგრი; შულცი, გიზეანი, კრესი, ჰერმანი, ზეელერი, ჰალერი, ბრიულსი. საყურადღებოა რომ დღემდე გუნდში სუსტ ადგილად ითვლებოდა მარჯვენა გარემარბის პოსტი, ამჯერად ეს პოსტი მიენდო 35 წლის კრესს.

პოლონურ გაზეთ „სპორტის“ ცნობით საექსპერიმენტო შემადგენლობის მიუხედავად, ჰერბერგერის გუნდმა ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა და მეტოქეს გამანადგურებელი დამარცხება მიაყენა — 5:1.

○

დიდი საერთაშორისო ფურნირი კაზოვიცეში

ჩოგბურთის შემდგომი განვითარებისათვის პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ეწყობა ე. წ. „ღია ჩემპიონატი“, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად მიწვეული არიან ცნობილი ჩოგბურთელები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან: ჩეხოსლოვაკიის მრავალგზის ჩემპიონი ივორსკი, მილსი (ინგლისი), მილიგანი (ავსტრალია), სანდერი, ეაკი (სამხრეთ აფრიკის კავშირი), გამოჩენილი უნგრელი ჩოგბურთელი გუიაში და სხვები.

★

ოლიმპიურ თამაშებს ნახავს მთელი მსოფლიო

— 1964 წლის ოლიმპიურ თამაშებს ნახავს მთელი მსოფლიო— განაცხადა იაპონიის ფოსტის მინისტრმა ხისაცუნე საკომიჟომ ორიოდე თვის წინ. ტელეხედვის თანამედროვე ტექნიკამ უკანასკნელ წლებში არნახულ განვითარებას მიაღწია და გასაკვირი არ იქნება, თუ ტოკიოს ოლიმპიადის მსვლელობას სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობა საკუთარ ბინებში იხილავს.

სხვათაშორის ასეთი გეგმები ჰქონდათ იტალიელებსაც 1960 წელს, მაგრამ მათი მასშტაბი ევროპის ფარგლებს ვერ გასცდა, XVII ოლიმპიადის სახეობათა ტრანსლაცია ხდებოდა მხოლოდ ევროპის ქვეყნებში და ამდენად მან ვერ მიიღო საყოველთაო ხასიათი. იაპონელებს გაცილებით დიდი გეგმები აქვთ.

როგორც ამ ქვეყნის მეცნიერები ამტკიცებენ, 1964 წლისათვის განხორციელდება მსოფლიოში ყველაზე გრანდიოზული და თამამი პროექტი: რადიოსა და ტელეხედვის პროგრამები კოსმოსში გაშვებული სპეციალური თანამგზავრების დახმარებით გადაეცემა მთელ მსოფლიოს. იაპონიის სატელეგრაფო-სატელეფონო კორპორაციას გადაწყვეტილი აქვს გაუშვას ჰაერში ვეებერთელა სფერო, რომელიც ხელს შეუწყობს კოსმიური კავშირის განხორციელებას.

აღნიშნულის გარდა, იაპონიის მთავრობამ განაცხადა, რომ იგი მალე დაამთავრებს აზიაში უდიდესი პარაბოლისტური ანტენის მშენებლობას. მიზანი მასაც იგივე ექნება: განახორციელოს ოლიმპიური თამაშების გადაცემა მთელს მსოფლიოში. ანტენა, რომლის დიამეტრი 30 მეტრს აღემატება, დაიდგმება ტოკიოს მახლობლად ქალაქ ტოგანაში.

და კიდევ ერთი საინტერესო ტექნიკური ნაგებობა: კაბელი წყნარი ოკეანის ფსკერზე, რომლის გაყვანა იმავე 1964 წლისათვის უნდა დამთავრდეს. კაბელი დააკავშირებს ერთმანეთთან იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს და მოემსახურება ოლიმპიური ინფორმაციების ოპერატიულ გადაცემას.

იაპონიის მთავრობის აზრით, ყველაფერი ეს საჭიროა იმისათვის, რათა შეუფერხებლად იმუშაოს პრესის, რადიოს, ტელევიზიისა და კინოს 3-მა ათასმა წარმომადგენელმა.

რედაქტორი ი. უგულავა.

გონზალესის განცხადება

პოლონური გაზეთების „პშეგლონდ სპორტოვისა“ და „სპორტის“ კორესპოდენტები პარიზიდან იუწყებიან, რომ მსოფლიო ჩემპიონის წოდების დაკარგვის შემდეგ რიკარდო გონზალესმა გააკეთა განცხადება პრესის წარმომადგენელთათვის:

„ეს ჩემი უკანასკნელი წელია „კრამერის ცირკში“. 13 წლის ასაკიდან ჩოგბურთის თამაშის მეტი არაფერი გამიკეთებია, ახლა კი სამშობლოში დაბრუნებისა და დასვენების დრო დადგა. კიდევ ვითამაშებ წლის დასასრულამდე უიმბლდონის საერთაშორისო ტურნირში, შემდეგ მონაწილეობას მივიღებ ე. წ. „კრამერის თასის“ ნახევარფინალში, რომელიც ბარსელონაში გაიმართება და დავასრულებ პროფესიონალი ჩოგბურთელის კარიერას“.

შემდეგ გონზალესმა განაცხადა, რომ „კრამერის ცირკიდან“ წასვლა და პროფესიონალთა ტურნირზე უარის თქმა იმას არ ნიშნავს, რომ იგი საერთოდ თავს ანებებს ჩოგბურთს. ამიერიდან ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ითამაშებს იმ შეჯიბრებებში, რომლებიც ლოსანჯელოსში გაიმართება.

შედგა მორიგი შესარჩევი მატჩები მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრები შეხვდა ირლანდიის გუნდს. მატჩი მოიგეს ჩეხებმა ანგარიშით 3:1. ახლა ამ ქვეჯგუფში ყველაფერი დამოკიდებულია ამ გუნდების მეორე შეხვედრაზე. თუ ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა კვლავ მოიგო იგი, დაინიშნება გადამწყვეტი მატჩი შოტლანდიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს შორის ფინალისტის გამოსარკვევად.

★

ფინალში გასვლის უფლება პრაქტიკულად თითქმის უკვე მოიპოვეს იუგოსლაველებმა. მათ 8 ოქტომბერს დაამარცხეს სამხ. კორეის გუნდი ანგარიშით 5:1.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პორტუგალიის ნაკრებისათვის მატჩს ლუქსემბურგთან, მაგრამ პორტუგალიელებმა ვერ შეძლეს მათს წინაშე მდგარი ამოცანის გადაჭრა და დამარცხდნენ — 2:4. ამ ქვეჯგუფში ეჭვს არ იწვევს ინგლისელთა გამარჯვება, რომლებმაც საკუთარ მინდორზე უნდა მიიღონ პორტუგალიის გუნდი. ინგლისელთათვის სავსებით საკმარისია ერთი ქულაც კი.

★

8 ოქტომბერს ვენაში შედგა საერთაშორისო მატჩი ავსტრიისა და უნგრეთის ნაკრებ გუნდებს შორის, მართალია, ეს იყო მხოლოდ ამხანაგური შეხვედრა, მაგრამ მას უდიდესი ინტერესით მოელოდნენ უცხოეთის საფეხბურთო წრეებში.

ავსტრიის გუნდმა კიდევ ერთხელ დამტკიცა, რომ იგი ამჟამად ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში. მატჩი მოიგეს ავსტრიელებმა — 2:1.

11-15 ოქტომბერი

ვ. ი. ლენინის სახ. სასპორტო დარბაზი საქართველოს 1961 წლის პირად-გუნდური პირველობა

დასაწყისი: 11, 12, 13, 14 ოქტომბერს — 16.00 საათზე, 15 ოქტომბერს — 14.00 საათზე.

ტანვარჯიში

15 ოქტომბერს ჩატარდება ფინალური შეჯიბრებები ტანვარჯიშის ცალკეულ სახეობებში ექვს-ექვსი საუკეთესო ოსტატის მონაწილეობით.

თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონის დირექცია აცხადებს იმ მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომელთაც აქვთ სტადიონის მუდმივი საშვი, რომ ა. წ. 10 ოქტომბრიდან იწარმოებს საშვის ხელახალი შემოწმება. შეუმოწმებელი საშვით არ იქნებიან დაშვებული სტადიონზე.

შემოწმება იწარმოებს 10 და 11 ოქტომბერს 10 საათიდან 2 საათამდე „ბურევესტნიკის“ სტადიონზე და ამავე დღეებში საქართველოს და თბილისის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირებში.



დღეს



გდრ (ბერლინის ნაკრები)-
თბილისის ნაკრები
(ქალები)

გდრ (ბერლინის ნაკრები)-„დინამო“ (თბილისი)
(ვაჟები)

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01161